# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/156

ქ. თბილისი 18 ივნისი 2018

**სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე**

**კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მართვის ავტომატიზებული სისტემების (პროგრამული ინჟინერია) დეპარტამენტის უფროსის, პროფ. გ. სურგულაძის 2018 წლის 11 ივნისის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ივნისის №01-05-02/11 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გამოცხადდეს აკადემიური კონკურსი სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე მართვის ავტომატიზებული სისტემების (პროგრამული ინჟინერია) დეპარტამენტში პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე 400-საათიანი დატვირთვით (საგანთა ჯგუფი 201);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **ა. ფრანგიშვილი**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **გ. სალუქვაძე**